სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

14 სექტემბერი, 2023 წ

**ბრძანება № 01-02/168**

**„ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 8 ნოემბრის N01-08/986 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების (ცვლილება-დადგენილება N204; 05.06.2023წ.), ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 8 ნოემბრის N01-08/986 ბრძანების და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის 2023 წლის 11 სექტემბრის N1121705 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის** დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 8 ნოემბრის N01-08/986 ბრძანებაში **შევიდეს ცვლილება,** კერძოდ, ბრძანების **N1 დანართში** (წესი) **ამოღებულ იქნას მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი.**

2. იურიდიული დეპარტამენტის მიერ მომზადდეს ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის'' კოდიფიცირებული ვერსია, წინამდებარე ბრძანებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

3. ბრძანება და კოდიფიცირებული ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი“ განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, იურიდიულ დეპარტამენტს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

**რექტორი, პროფესორი** **მერაბ ხალვაში**